91 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი, გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.

91 წელი თქვენთან ერთად!

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №3 (7126) 3 თებერვალი 2025 წელი

2025 წლის სოციალური პროგრამები დამტკიცებულია 2025 წლის ბიუჯეტი 8 მილიონ ლარზე მეტით გაიზარდა

2025 წლის 15 იანვარს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მორიგი სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი ხელმძღვანელობდა.

სხდომაზე, დღის წესრიგის შესაბამისად, განიხილეს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის—თემურ ქოჩიაშვილის, იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ბიძინა ბუცხრიკიძისა და ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის შალვა ჭანკვეტაძის მიერ წარმოდგენილი საკითხები.

აღსანიშნავია, რომ სხდომაზე მხარდაჭერილ იქნა 19 სოციალური პროგრამა, რომლებიც თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად (პროგრამების ნანილს გთავაზობთ „თერჯოლის“ 3, 6, 7, 8 გვერდებზე).

დეპუტატებმა სულ მხარი დაუჭირეს დღის წესრიგით წარმოდგენილ 21 საკითხს.

სხდომას თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, მერის მოადგილეები: ზვიად ბაზაძე და მირზა ქოჩიაშვილი და მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 15 იანვრის საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა მხარი ასევე დაუჭირეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილებას, რომელიც გამოიწვია მთავრობის განკარგულებამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ (ბიუჯეტში აისახა ნაშთი).

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 8095.6 ათასი ლარით და შეადგინა 28745.6 ათასი ლარი, საშემოსავლო ნაწილი შემცირდა 48.1 ათასი ლარით. მიზნობრივი ტრანსფერი.

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 8143.7 ათასი ლარით. რგფ-ის პროექტები დაფინანსდა 5383.1 ათასი ლარით. სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირებაზე გამოიყო 1373.2 ათასი ლარი. დამატებითი ღირებულების გადასახადი გაიზარდა 1159.4 ათასი ლარით და 2025 წლის პირველი იანვრისათვის დარჩენილი ნაშთი 228.0 ათასი ლარი (მიზნობრივი გრანტი 109.0 ათასი ლარი და ადგილობრივი შემოსავლები 119.0 ათასი ლარი) აისახა ბიუჯეტში.

როგორ დაიხარჯება 8143.7 ათასი ლარი

ამ თანხიდან ყველაზე მეტი 5430.0 ათასი ლარი გზების კეთილმოწყობას მოხმარდება.

ჩვენი გაზეთი ჯერ კიდევ გასულ წელს წერდა, რომ საგზაო ინფრასტრუქტურაზე ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიებმა ითავეს გარდამავალი ობიექტების ვადამდე ადრე დამთავრება, რაც უკვე განახორციელეს კიდეც. ამ პროექტებშია სოფელ კვახჭირის ცენტრალური გზა, რომელიც პრაქტიკულად უკვე დასრულდა.

სწორედ ამ პროექტების შესრულებული სამუშაოების დაფინანსებას და მიმდინარე წლისათვის უკვე გამოცხადებულ ტენდერებში გამარჯვერული კომპანიების დაფინანსებას მოხმარდება მთავრობის მიერ 31 დეკემბერს გამოყოფილი თანხები.

☞2

ევროპის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი EYOF Bakuriani 2025

საქართველოში ევროპის ზამთრის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე EYOF Bakuriani 2025- ჩამოსვლისათვის ევროპის 46 ქვეყანა ემზადება!

1000 -ზე მეტ, 14-18 წლის ახალგაზრდა სპორტსმენებს, 9-16 თებერვალს, კონკურსის წესით შერჩეული ასზე მეტი მოხალისე დახვდება და მოემსახურება.

მოხალისეთა გუნდში ჩარიცხული არიან თერჯოლის მუნიციპალიტეტის კერძო სკოლა „მზეკაბანის“ კურსდამთავრებულები, ამჟამად აკ. წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები მარიამ მარუაშვილი და ანა მაკარიძე!

წარმატებები ჩვენს ახალგაზრდა სპორტსმენებს და ჩვენს მოხალისე გოგონებს!

კიდევ ერთხელ მოგვითოვა

პირველი თოვლი მუნიციპალიტეტის ზედა ზონის სოფლებში ჯერ კიდევ გასულ წელს მოვიდა. უხვმა ნალექმა პრობლემებიც უმალ შექმნა, მაგრამ ისინი ოპერატიულად იქნა აღმოფხვრილი. მიმდინარე წელს კი, ნათლისღებას, თოვლი პრაქტიკულად მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში მოვიდა. მისი საფარი საკმაოდ მაღალი იყო გოგნსა და თუბში, სადაც გაწმენდითი სამუშაოების განხორციელება გახდა საჭირო.

20 იანვრის დილიდან გაიწმინდა როგორც ორივე სოფლის ცენტრალური საავტომობილო გზა, ასევე შიდა უბნები.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის სხვა სოფლებში იმ ეტაპისთვის გზების გაწმენდითი სამუშაოების ჩატარების აუცილებლობა არ იყო.

მეწყერულმა პროცესმა შეაფერხა სოფელ სეფარეთის გაზმომარაგება, რომელიც მეორე დღესვე აღმოიფხვრა. შეფერხებები არ ყოფილა ელექტროენერგიის მიწოდებაში.

ინაუგურაცია შედგა — ჩვენი მოლოდინი გრძელდება...

ამერიკის შეერთებული შტატების 47-ე პრეზიდენტის, რესპუბლიკელი დონალდ ტრამპის ინაუგურაცია 20 იანვარს შედგა ვაშინგტონში.

მსოფლიოს დიდი მოლოდინი ჰქონდა და აქვს, რომ ახალი პრეზიდენტი ბევრ რამეს შეცვლის, როგორც ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

პრეზიდენტ ტრამპმა, ინაუგურაციის დღესვე, რამდენიმე მნიშვნელოვან ბრძანებას მოაწერა ხელი, რითაც ხაზგასმით დაადასტურა, რომ მასშტაბური ცვლილებები აუცილებლად იქნება.

ამ ცვლილებათა ჯაჭვში, ჩვენთვის განსაკუთრებით უმთავრესია, სად მოხვდება საქართველო—იქ, სადაც ჩვენს ქვეყანას ექნება სწრაფი განვითარების საშუალება, თუ იქ, სადაც მისი როლი და ადგილი დასუსტდება, ჩვენი კეთილდღეობის დონე კი წარმატებით ვერ გაუმჯობესდება.

ფაქტია, რომ ყველაფერი ჩვენზე არაა დამოკიდებული, მაგრამ ქვეყანაში რომ ურთიერთშეთანხმების და კომპრომისების დაშვების პროცესი დაიწყოს, ამის რესურსი როგორც ხელისუფლებას, ისე დაპირისპირებულ ძალებს ვფიქრობთ, რომ გააჩნიათ.

ჩვენის ღრმა რწმენით, ამ პროცესის დაჩქარებას, უპირველესად მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს საპროტესტო აქციებზე დაკავებულთა საპატიმროებიდან განთავისუფლება, რომელთა შორის არის ჩვენი კოლეგა მზია ამაღლობელიც.

იმედი დავიტოვოთ, რომ ქვეყნისათვის გადამწყვეტ პერიოდში, დაპირისპირებული მხარეები სწორედ ამ გზით წავლენ, რაც მნიშვნელოვნად წაადგება მრავალტანჯული საქართველოს წარმატებულ განვითარებას და აღმავლობას.

2025 წლის სოციალური პროგრამები დამტკიცებულია
2025 წლის ბიუჯეტი 8 მილიონ ლარზე მეტით გაიზარდა

1☜

ეს შესრულებული პროექტებია:

სოფ. ზედა სიმონეთში აბჟანდაძეების უბანთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია 362.7 ათასი ლარით. ქ. თერჯოლაში პუშკინის ქუჩაზე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 64.1 ათასი ლარით. დ. კლდიაშვილის სახლ-მუზეუმის ასფალტოვანი გზიდან სოფ. სათემოს ეკლესია-აბულაძეების უბნამდე არსებული გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 92.4 ათასი ლარით. სოფ. რუფოთი, ჭანკვეტაძეების უბანში მდებარე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 233.7 ათასი ლარით. სოფ. ახალთერჯოლაში ცენტრალური საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 131.3 ათასი ლარით. სოფ. თუზში ჩაფიჩაძეების უბანში გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 240.5 ათასი ლარით. სოფ. ჩხარში ამირანაშვილების მუზეუმთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 224.4 ათასი ლარით. ქვ. ალისუბანი-მაჩიტაურის დამაკავშირებელი 3 კმ-იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 220.5 ათასი ლარით. სოფ. სიქთარვაში მემანიშვილების უბნის გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 35.5 ათასი ლარით. სოფ. სიქთარვაში ყაზაიშვილების უბნის გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 80.8 ათასი ლარით. სოფ. ნახშირღელეში ხორხის უბანთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 235.5 ათასი ლარით. სოფ. კვახჭირი ცენტრალური გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 72.6 ათასი ლარით. თერჯოლის მუნიციპალიტეტში სოფ. გოდოგანში საავტომობილო გზის და საყრდენი კედლების მოწყობა/რეაბილიტაცია დაფინანსდება 231.6 ათასი ლარით. სოფ. საზანოში ჩიხორში შიმშილაქედის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 240.5 ათასი ლარით. სოფ. ჩხარი ზედა ალისუბნის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 250.0 ათასი ლარით.

უკვე გამოცხადებულია ტენდერები შემდეგ პროექტებზე:

სოფ. ბარდუბანში ავტობანიდან ვერულაშვილები-ბოჭორიშვილები-გრძელიძეების უბნის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 250.0 ათასი ლარით. სოფ. ზედა საზანოში გიორგაძეების უბანში გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 250.0 ათასი ლარით. სოფ. თუზში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 250.0 ათასი ლარით. ქ. თერჯოლაში მაცაბერიძეების ქუჩაზე არსებული გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 171.1 ათასი ლარით. სოფელ ღვანკითი-ტელეფის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 250.0 ათასი ლარით. თერჯოლა-ახალთერჯოლის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 250.0 ათასი ლარით. თერჯოლის მუნიციპალიტეტში სოფ. გოდოგანში საავტომობილო გზის და საყრდენი კედლის მოწყობა/რეაბილიტაცია 3 ეტაპი დაფინანსდება 265.0 ათასი ლარით. სოფ. სიქთარვაში ცხადაძეების უბნის გზის რეაბილიტაციის სამუშაოები დაფინანსდება 129.7 ათასი ლარით. სოფ. ეწერში ახალ უბანში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 200.0 ათასი ლარით. სოფ. ეწერში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 200.0 ათასი ლარით. გზების ორმული დამუშავება დაფინანსდება 300.0 ათასი ლარით. რგფ-ის პროექტების თანადაფინანსება დაფინანსდება 198.0 ათასი ლარით (წინა წლის ვალდებულებაა 53.3 ათასი ლარი).

კომუნალური მეურნეობის განვითარების დაფინანსება გაიზარდა—587.9 ათასი ლარით. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდება ქ. თერჯოლაში არსებული მუსიკალური სკოლის შენობის რეაბილიტაცია 451.1 ☞5

სოფელ კვახჭირის ცენტრალური საავტომობილო გზა

სამუშაოების ბოლო მონიტორინგზე აქ იმყოფებოდნენ: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი, მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი, მერის მოადგილე ზვიად ბაზაძე, საკრებულოს წევრი ბიძინა ბუცხრიკიძე და მერის წარმომადგენელი სოფელ კვახჭირში რომან მამრიკიშვილი.

საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულებამ შეადგეინა 272144 ლარი. ბეტონის საფარიანი ეს საავტომობილო გზა 4000 m^2-ია. სამუშაოები შპს „ჯეო როუდ ინვესტმა“ შეასრულა.

ყურადღება, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა 2025” იწყება!

თერჯოლის მუნიციპალიტეტში, 2025 წლის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამების“ ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცესი და ამ მიზნით მოსახლეობასთან შეხვედრები იწყება.

დასახლების საერთო კრებები, ეტაპობრივად ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში ჩატარდება. მოსახლეობა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ პრიორიტეტულ პროექტებს თავად აირჩევს.

საერთო კრებები და კონსულტაციები 2025 წლის 10 თებერვლიდან 14 თებერვლის ჩათვლით გაიმართება.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ დასაფინანსებელი პროექტები სოფლებში მოსახლეობასთან კონსულტაციებით და სასოფლო კრებებზე მიღებული გადაწყვეტილებებით შეირჩევა.

დასახლების საერთო კრებების განრიგი:

1. სოფელი გოდოგანი (ნაგარევის სკოლის მიმდებარედ) 10. 02. 2025 11:00
2. სოფელი გოდოგანი (ნაგარევი) (ნაგარევის სკოლის მიმდებარედ) 10. 02. 2025 11:00
3. სოფელი გოდოგანი (ბროლისქედი) (ნაგარევის სკოლის მიმდებარედ) 10. 02. 2025 11:00
4. სოფელი გოდოგანი (ჭალასთავი) (ნაგარევის სკოლის მიმდებარედ) 10. 02. 2025 11:00
5. სოფელი ჭოგნარი (ადმინისტრაციულ შენობის წინ) 10. 02. 2025 12:30
6. სოფელი კვახჭირი (ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ) 10. 02. 2025 14:00
7. სოფელი კვახჭირი (ოდილაური) (ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ)10. 02. 2025 14:00
8. სოფელი კვახჭირი (სარბევი) (ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ)10. 02. 2025 14:00
9. სოფელი ნახშირღელე (ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ) 10. 02. 2025 15 : 30
10. სოფელი ნახშირღელე (ნავენახევი) (ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ) 10. 02. 2025 15:30
11. სოფელი ქვედა სიმონეთი (ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ) 10. 02. 2025 17:00
12. სოფელი ზედა სიმონეთი (ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ) 11. 02. 2025 11 : 0 0
13. სოფელი ბარდუბანი (ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ) 11. 02. 2025 12:30
14. სოფელი ბარდუბანი (სათემო) (ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ) 11. 02. 2025 12:30
15. სოფელი ეწერი (ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ) 11.02.2025 14:00
16. სოფელი ეწერი (ახალი უბანი) (ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ) 11. 02. 2025 14 : 00
17. სოფელი სიქთარვა (ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ) 11. 02. 2025 15 : 30
18. სოფელი სიქთარვა (ჩხარი ეწერი) (ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ) 11. 02. 2025 15:30
19. სოფელი ახალთერჯოლა (ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ) 11. 02. 2025 17:00
20. სოფელი ახალთერჯოლა (ბოსელა) (ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ) 11. 02. 2025 17:00
21. სოფელი თუზი (თუზი) (ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ) 12. 02. 2025 11:00
22. სოფელი თუზი (კაკაბოური) (ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ) 12. 02. 2025 11:00
23. სოფელი თუზი (თავასა) (ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ) 12. 02. 2025 11:00
24 . სოფელი თუზი (ჯგილათი) (ვარდიგორის სკოლის მიმდებარე) 12. 02. 2025 12:30
25. სოფელი თუზი (ვარდიგორა) (ვარდიგორის სკოლის მიმდებარედ) 12. 02. 2025 12:30
26. სოფელი საზანო (საზანო) (სკოლის მიმდებარედ) 12. 02. 2025 14:00
27. სოფელი საზანო (დელტასუბანი) (სკოლის მიმდებარედ) 12. 02. 2025 14:00
28. სოფელი საზანო (შიმშილაქედი) (სკოლის მიმდებარედ) 12. 02. 2025 14:00
29. სოფელი საზანო (ჩიხორი) (სოფ. ჩიხორის ცენტრში) 12. 02. 2025 15:30
30. სოფელი საზანო (მუჯირეთი) (სოფ. ჩიხორის ცენტრში) 12. 02. 2025 15:30
31. სოფელი საზანო (სკანდე) (სოფ. ჩიხორის ცენტრში) 12. 02. 2025 15:30
32. სოფელი რუფოთი (რუფოთი) (ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ) 12. 02. 2025 17:0 0
33. სოფელი ტელეფა (ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ) 12. 02. 2025 17:00
34. ალისუბანი (ქვედა ალისუბანი) (სოფ. ქვედა ალისუბნის ცენტრში) 13. 02. 2025 11:00
35. ალისუბანი (ზედა ალისუბანი) (სოფ. ზედა ალისუბნის ცენტრში) 13. 02. 2025 12:30
36. სოფელი ალისუბანი (ზარნაძეები) (სოფ. ზედა ალისუბნის ცენტრში) 13. 02. 2025 12:30
37. სოფელი ალისუბანი (თხილთაწყარო) (სოფ.ზედა ალისუბნის ცენტრში) 13. 02. 2025 12:3 0
38. სოფელი ალისუბანი (მაჩიტაური) (სოფ. ზედა ალისუბნის ცენტრში) 13. 02. 2025 12:30
39. სოფელი ღვანკითი (ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ) 13. 02. 2025 14:00
40. სოფელი ძევრი (ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ) 14. 02. 2025 11:00
41.სოფელი ძევრი (ოქონა) (ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ) 14. 02. 2025 11:00
42. სოფელი ძევრი (სეფარეთი)(ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ) 14. 02. 2025 11:00
43.სოფელი გოგნი (ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ) 14. 02. 2025 12:30
44.სოფელი ჩხარი (ჩხარი) (ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ) 14. 02. 2025 14:00
45. სოფელი ჩხარი (მაცხოვარი) (ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ) 14. 02. 2025 14:00

გთხოვთ, აქტიურად ჩაერთოთ გამოყოფილი თანხების ფარგლებში სოფლებში განსახორციელებელი პრიორიტეტული პროექტების შერჩევის და შემდგომ მათი განხორციელების პროცესში!

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის სოციალური პროგრამები

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მარტოხელა მშობლის სოციალური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 29250152)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები:

ა. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სოციალური მხარდაჭერის პროგრამა.

ბ. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 15 იანვარი 2025 წელი – 31 დეკემბერი 2025 წელი.

გ. პროგრამის ბიუჯეტი: 68 000 (სამოცდარვა ათასი) ლარი.

დ. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი.

ე. პროგრამის მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა: მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე ბენეფიციარზე 100 (ასი) ლარი ყოველთვიურად.

ვ. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება:

მარტოხელა მშობელი არის მარტოხელა დედის ან მარტოხელა მამის სტატუსის მქონე პირი.

მუხლი 3. პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები:

მარტოხელა დედების (მამების) სოციალური მდგომარეობის ფინანსური მხარდაჭერა.

მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირი, რომელსაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის შვილი (რომელთა შემოსავლები ბოლო ერთი წლის განმავლობაში არ აღემატება 10 000 ლარს).

მუხლი 5. დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია:

ა. განცხადება მერის სახელზე;

ბ. დახმარების მიმღები პირის პირადობის მოწმობის ასლი;

გ. ბავშვის დაბადების მოწმობა;

დ. მარტოხელა მშობლის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე. დახმარების მიმღები პირის პირადი ანგარიში.

ვ. ცნობა შემოსავლების სამსახურიდან ბოლო ერთი წლის შემოსავლების შესახებ.

მუხლი 6. მარტოხელა მშობლის დაფინანსების მიღების წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და თანდართული დოკუმენტაციის პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

2. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურეობის თანადაფინანსების 2025 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 29250153)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურეობის თანადაფინანსების 2025 წლის პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 15 იანვარი 2025 წელი – 31 დეკემბერი 2025 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 5000 (ხუთი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მოსალოდნელი შედეგები:

პროგრამის სრულყოფილად განხორციელება ხელს შეუწყობს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა რეაბილიტაციას.

მუხლი 3. სამედიცინო მომსახურების დაფინანსების ოდენობა:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა რეაბილიტაცია დაფინანსდეს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან წელიწადში არა უმეტეს 350 (სამასორმოცდაათი) ლარისა.

მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

1. პროგრამით სარგებლობის უფლება აქვს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირს.

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის მერიაში წარსადგენი დოკუმენტაცია:

შშმ პირის მშობელი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენს განცხადებას, რომელსაც თან უნდა დაერთოს:

ა) მშობლების პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან არასრულწლოვნის რეგისტრაციის ბარათი, ასევე დაბადების მოწმობის ასლი;

ბ) ცნობა, პროგრამით სარგებლობის მსურველი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა N100).

გ) გასაწევი სამედიცინო მომსახურების ხარჯების მოცულობის განმსაზღვრელი დოკუმენტი (ინვოისი, კალკულაცია) შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან.

დ) შეთანხმება სამედიცინო დაწესებულებასა და პაციენტის წარმომადგენელს შორის (დავალიანების არსებობის შემთხვევაში)

ე) შ შ მ პირის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 6. სამედიცინო მომსახურების დაფინანსების წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და ამზადებს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტს.

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე, სამედიცინო მომსახურების დასაფინანსებელი თანხის ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით სამედიცინო დაწესებულების შესაბამის ანგარიშზე, რასაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთა სოციალური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 29250154)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები:

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთა სოციალური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 15 იანვარი 2025 წელი – 31 დეკემბერი 2025 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 52 000 (ორმოცდათორმეტი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა: 80 (ოთხმოცი) ლარი.

6. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი და შედეგი:

პროგრამის მიზანს წარმოადგენს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთათვის კომუნალური გადასახადების გადახდაში ხელშეწყობა.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

ა) პროგრამით სარგებლობის უფლება აქვთ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მოქალაქეებს, რომლებიც პროგრამის ამოქმედების დროისათვის რეგისტრირებული არიან თერჯოლის მუნიციპალიტეტში და ამავდროულად არიან პირველი ჯგუფის უსინათლოები.

ბ) 18 წლამდე უსინათლო შშმ სტატუსის მქონე უსინათლო ბენეფიციარები.

მუხლი 4. სოციალური დახმარების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და წარდგენის წესი:

პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ განცხადებას. განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ფორმა №IV-50 / 4 (კომისიის დასკვნა) პირველი ჯგუფის უსინათლობის შესახებ, შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან.

გ) განმცხადებლის ანგარიშის ნომერი ბანკიდან.

დ) არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში, ორივე მშობლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, არასრულწლოვნის რეგისტრაციის ბარათი და დაბადების მოწმობის ასლი.

მუხლი 5. დაფინანსების ოდენობა და დაფინანსების წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და თანდართული დოკუმენტაციის პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

2. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 29250155)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები:

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 15 იანვარი 2025 წელი – 31 დეკემბერი 2025 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 18 000 (თვრამეტი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა: 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულ ბენეფიციარს თვეში - 150 (ასორმოცდაათი) ლარი.

6. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანს წარმოადგენს დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა ფინანსური მხარდაჭერა.

მუხლი 3. პროგრამის მოსალოდნელი შედეგები:

პროგრამის განხორციელება დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობიდან ☞6

ძველი და ახალი წლების გზაგასაყარზე...

27 დეკემბერს, მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალურ ცენტრში ტრადიციულად ულამაზესი საახალწლო-საშობაო ღონისძიება გაიმართა.

ღონისძიების წამყვანები ცენტრის მოსწავლეები თეკლა მაკარიძე და მარიამ ბერუაშვილი იყვნენ.

კონცერტი პატარა ოქროსთმიანმა ხუჭუჭა „ნატვრის ფერიამ“ და „ახალმა წელმა“ გახსნა, მათ ძველი წელი გააცილეს და დაიკავეს საკუთარი ადგილი, „ნატვრის ფერია“ სანუკვარი ოცნებასავით ლამაზი იყო.

ღონისძიება განაგრძო კლუბმა „ნეკამ“, ცეკვა „შემოდგომის ვალსით“. მათ კიდევ ერთხელ დაატრიალეს შემოდგომის ქარი ჩვენს გულებში. პატარებმა გააცოცხლეს ფოთლები, შემოდგომის თბილი ამინდებივით გაგვათბეს და ასპარეზი ზამთარს დაუთმეს.

ლილე ოქრუაძის შესრულებულმა სიმღერამ დარბაზიც აამღერა.

მკითხველთა კლუბმა ცეკვა და სიმღერა შემოგვთავაზა. პატარები თოვლის ბაბუის ფორმებში გამოეწყვნენ, მათი ცეკვის დროს სცენაზე თოვაც დაიწყო, ირგვლივ ყველაფერი გათეთრდა, სცენა თეთრად მოირთო... აი, რა შეუძლიათ თერჯოლელ ბავშვებს.

თეკლა ბუსკივაძემ სიმღერით „ალისას საოცრებათა ქვეყანაში“ გვამოგზაურა. მისი სიმღერა ისეთივე ზღაპრული იყო, როგორც თავად თეკლა.

ზღაპრულმა გმირმა სცენა ქრისტესშობის სიმღერას დაუთმო. „ვარსკვლავები ბრწყინავენ, ანათებენ ბეთლემს“, სწორედ ასე ბრწყინავდნენ ისინი სცენაზე.

საინფორმაციო ტექნოლოგიების კლუბმა სიმღერით „შემობრძანდა წელიწადი ახალი“, კვლავ ტკბილი ჰანგებით აავსო დარბაზი. შემდეგ სცენა დაუთმეს რობოტექნიკისა და ჟურნალისტიკის კლუბის წევრებს. რობოტექნიკის კლუბის ბავშვებმა აცეკვეს რობოტები, ხოლო ჟურნალისტიკის კლუბის ბავშვები ცდილობდნენ რობოტებისთვის ინტერვიუ ჩამოერთვათ, თუმცა რობოტებმა დატოვეს სცენა. ბავშვებმა კი ნომრები ცეკვით დაასრულეს, რამაც მაყურებლის მხურვალე აპლოდისმენტები გამოიწვია.

ინტელექტუალურმა კლუბმა კონკურსი შემოგვთავაზა, წესები ასეთი იყო: დარბაზიდან მხოლოდ ბავშვებს შეეძლოთ ეპასუხათ დასმულ კითხვებზე, მოსაფიქრებელი დრო 1 წუთი იყო. კონკურსის გამარჯვებულები გახდნენ: თამარ ლაღაძე, გაბრიელ გიორგაძე, თეკლა კალატოზი და ლაშა მემანიშვილი. ისინი სიმბოლური საჩუქრებით დააჯილდოვეს.

კონკურსი სიმღერამ ჩაანაცვლა. ბავშვებმა, რომელთა გიტარებიც წითელი ბაბთებით იყო დამშვენებული, როგორც იმერეთს შეეფერება მაყურებელთა მოხიბლვა შეძლო.

სასიამოვნო ჰანგები ცეკვით, „ჯეირანით“ გაგრძელდა თიკო კოვზირიძის შესრულებით. ჯეირანივით გოგონამ სცენაზე ცეცხლი დაანთო.

ღონისძიება დაგვირგვინდა „სამეფო ვალსით“, წამით თავი მეჯლისზე ვიგრძენით, ბავშვებმა „სამეფო ვალსი“, მეფურად შეასრულეს.

დასასრულს, დასაჩუქრდნენ მონაწილეები და დარბაზში მყოფი ყველა მოწვეული თუ დამსწრე სტუმარი.

სტუმრებს ახალი წელი მიულოცა მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრის დირექტორმა ნინო ოქრუაძემ, მან მადლობა გადაუხადა პედაგოგებს, ბავშვებსა და მათ მშობლებს, განსაკუთრებით გამოყო თერჯოლის მერია და მადლობა გადაუხადა თანადგომისა და დახმარებისათვის.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის საახალწლო ღონისძიების მონაწილეებს და მაყურებლებს ახალი წელი მიულოცეს: თერჯოლის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა საკრებულოს თავმჯდომარემ გია ბარათაშვილმა და მერმა მანუჩარ რობაქიძემ. მათ მშვიდობა და კეთილდღეობა უსურვეს თითოეულ მათგანს და სრულიად მუნიციპალიტეტის მოსახლეობას.

ასე ლამაზად გაისტუმრეს ძველი 2024 და შეეგებნენ ახალ 2025-ს მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრში.

ბედნიერი ახალი წელი და წარმატებები გვისურვებია.

თეკლა კირკიტაძე

ახალი წელი ნორჩ ხელოვანთა სავანეში

ულამაზესი საახალწლო ვერნისაჟით გააცილეს 2024 წელი თერჯოლის სამხატვრო სკოლის აღსაზრდელებმა პედაგოგებთან ერთად.

დათოვლილი ბუნება, სახლები, ფიფქები, ახალი წელი, ეზოები, შუკები თუ ორღობეები, ზამთრის ხიბლი თვალსაჩინოდ იკვეთება მოსწავლეთა ნამუშევრების დათვალიერებისას და არა მხოლოდ ზამთრის ხედები, არის სხვა თემატიკაც ძალიან რომ უხდება გამოფენას...

მოსწავლეთა ფანტაზიას ნამდვილად არ აქვს საზღვარი, მათ ხომ თავისუფლება აქვთ მიცემული, დახატონ თავიანთი სურვილით, ხედვით, გემოვნებით...

საახალწლო ვერნისაჟის დასათვალიერებლად უამრავი ხალხი იყო შეკრებილი საგამოფენო დარბაზში. მშობლები, თვით მოსწავლეები, საზოგადოებისა და საჯარო სამსახურების წარმომადგენლები.

ახალი წლის მილოცვითა და კეთილი სურვილებით ესალმება შეკრებილთ სკოლის დირექტორი, ქალბატონი თამარ ღარიბაშვილი.

ბავშვები და პედაგოგები დალოცა და წარმატებები უსურვა მამა ანდრიამ (ყიფიანი), მიულოცა მათ ახალი წლისა და შობის დღესასწაულები.

საახალწლო გამოფენას და ზოგადად სამხატვრო სკოლაში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესსა და აღმზრდელობით მუშაობას მაღალი შეფასება მისცეს: მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსმა მაკა ასათიანმა და აა(ი)პ სახელოვნებო განათლებისა და კულტურის ცენტრის დირექტორის მოადგილემ შორენა ბოჭორიშვილმა.

სამხატვრო სკოლის ღონისძიებას შეუერთდა და სიტყვა წარმოთქვა მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ. მან თითოეულ ბავშვს, მშობელს, მასწავლებელს, დირექციას, საამაყო გუნდს, მიულოცა ახალი წელი და შობის დღესასწაული: „მინდა 2025 უფრო კარგი გვქონდეს, მეტი სიხარული, წარმატება, სიკეთე და სიყვარული სუფევდეს ჩვენთან და ჩვენს ირგვლივ. ყველანი ერთად, ერთმანეთზე ზრუნვით ურთიერთთანადგომით უკეთეს ხვალინდელ დღეს შევქმნით. მადლობა თითოეულ თქვენთაგანს წარმატებული საქმიანობისათვის“.

მერიისა და საკრებულოსაგან სამხატვრო სკოლის ყველა მოსწავლეს საახალწლოდ საჩუქრები გადაეცათ. შემდეგ სამახსოვრო სურათებიც გადაიღეს.

მზია ცქიფურიშვილი

ძველი და ახალი წლების გზაგასაყარზე...

ერთად აღნიშნეს ახალი წლის შემობრძანება

ვაჟა კუბლაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლამ წლევანდელ საახალწლო-საშობაო კონცერტზე მაყურებლები საბავშვო ბიბლიოთეკის დარბაზში მიიპატიჟა, სადაც დროებით არის შესახლებული.

სკოლის დირექტორმა ვალერი კუბლაშვილმა საახალწლო-საშობაო მილოცვისას აღნიშნა, რომ სამუსიკო სკოლაში ინტენსიურად მიმდინარეობს სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები და 2025 წლის ზაფხულში უკვე ყველაფერი დამთავრდება. მომავალი სასწავლო წლისათვის პედაგოგებისა და აღსაზრდელების განკარგულებაში იქნება სრულიად კომფორტული, კეთილმოწყობილი, თანამედროვე სტანდარტების 150 ბავშვზე გათვლილი შესაბამისი შენობა, რისთვისაც მან მადლიერება გამოხატა რაიონის ხელმძღვანელობის მისამართით.

სამუსიკო სკოლის აღსაზრდელებს, საბავშვო ბიბლიოთეკის ნორჩი მკითხველებიც შეუერთდნენ და ერთობლივი ძალებით ლამაზი საახალწლო კონცერტი გამოუვიდათ. მაყურებლებს, რომელთა უმრავლესობას მშობლები და მოწვეული სტუმრები შეადგენდნენ ლამაზი საზეიმო განწყობილება შეუქმნეს.

ნინი ბუცხრიკიძის მიერ საახალწლო მისალოცი ტექსტის წაკითხვის შემდეგ წამყვანი, პედაგოგი ნორა პერანიძე მაყურებელთა წინაშე წარადგენდა თითოეულ მონაწილეს საფორტეპიანო თუ სასიმღერო ნომრის შესასრულებლად. აგრეთვე ლექსის წასაკითხად სახელდახელო მოწყობილ „სცენაზე“ საახალწლო ნაძვის ხესთან, გულთამზე კუბლაშვილის, მერი ჯიშკარიანის, შორენა არაბიძის, მაკა კუტივაძის, ვალია სახელაშვილის, ნორა პერანიძის, რამაზ მემანიშვილის, რუბენ რობაქიძის და სხვათა მოსწავლეებს საფორტეპიანო თუ სასიმღერო ნომრების შესრულებისას აპლოდისმენტები არ დაკლებია.

კონცერტის შემდეგ შეკრებილ მაყურებლებსა და კონცერტის მონაწილეებს მიესალმა „თოვლის ბაბუა“ გიორგი მჭედლიძე...

სამუსიკო სკოლის აღსაზრდელთა და საბავშვო ბიბლიოთეკის ნორჩ მკითხველთა ერთობლივ კონცერტს დაესწრო მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, მამა ანდრია (ყიფიანი) და საჯარო სამსახურების სხვა წარმომადგენლები. თითოეულმა მათგანმა ღონისძიების მონაწილეებსა და შეკრებილ საზოგადოებას მიულოცა ახალი წელი, შეაფასა წარმოდგენილი კონცერტი და წარმატებები უსურვა მომავალ საქმიანობაში.

მანუჩარ რობაქიძემ მადლობა გადაუხადა კონცერტის ყველა მონაწილეს, სამუსიკო სკოლის დირექციას, პედაგოგებს და მოსწავლეებს.

სკოლის აღსაზრდელებმა მერიისგან საახალწლო საჩუქრებიც მიიღეს.

მზია ცქიფურიშვილი

სადღეღამისო რეჟიმში მომუშავე ორგანიზაციებში

ტრადიციულად, მუნიციპალიტეტის მერმა დამდეგი შობა-ახალი წელი 24 საათიან რეჟიმში მომუშავე ორგანიზაციებს მიულოცა. ორგანიზაციებში, მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ჯემალ ისაკაძესთან და საკრებულოში მერის წარმომადგენელთან სოსო ჩაფიჩაძესთან ერთად იმყოფებოდა.

ხელმძღვანელმა პირებმა, საახალწლო სასაჩუქრე კალათები სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისა და პოლიციის თანამშრომლებს გადასცეს, შობა-ახალი წელი მიულოცეს და წარმატებული საქმიანობა უსურვეს.

„დიდი პატივისცემით გილოცავთ შობა-ახალი წლის შემობრძანებას, განსაკუთრებით თქვენ, რომლებიც 24 საათის განმავლობაში, დაუღალავი შრომითა და პასუხისმგებლობით ასრულებთ საკუთარ მოვალეობებს, ზრუნავთ ჩვენი თანამოქალაქეების, სიმშვიდესა და უსაფრთხოებაზე. მადლობა თანადგომისთვის“— მუნიციპალიტეტის მერი, მანუჩარ რობაქიძე.

სტუმრად პანსიონატში

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი პანსიონატ „სიმონეთში" იმყოფებოდა. მანუჩარ რობაქიძემ აქ მცხოვრებ ხანდაზმულებს, დამდეგი ახალი 2025 წელი მიულოცა და დიდხანს სიცოცხლე და ჯანმრთელობა უსურვა.

შეხვედრას მერიის სოციალური სამსახურის უფროსი დიანა ფოცხვერაშვილი ესწრებოდა.

პანსიონატში ამ დროისათვის 15 ხანდაზმული ცხოვრობს.

2025 წლის სოციალური პროგრამები დამტკიცებულია 2025 წლის ბიუჯეტი 8 მილიონ ლარზე მეტით გაიზარდა

2 ☜

ათასი ლარით. კეთილმოწყობა 136.8 ათასი ლარით (წინა წლის ვალდებულებაა 85.1 ათასი ლარი).

საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა, ასევე საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების დაფინანსება გაიზარდა 185.0 ლარით (წინა წლის ვალდებულებაა 22.0 ათასი ლარი).

* * *

დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის დაფინანსება გაიზარდა 500.0 ათასი ლარით.

საშუალო სკოლებში მოსწავლეთა ტრანსპორტირების დაფინანსება 1373.2 ათასი ლარით.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება გაიზარდა 67.6 ათასი ლარით (წინა წლის ვალდებულება).

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის სოციალური პროგრამები

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამა

3 ☞

გამომდინარე ხელს შეუწყობს 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა ჯანმრთელობის ხელშეწყობას.

მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე დიაბეტით დაავადებული ბავშვები.

მუხლი 5. დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი:

პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ:

ა) განცხადება ერთ-ერთი მშობლის სახელით;

ბ) ცნობა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან ფორმა 100/ა ან ცნობა შ.შ.მ პირთა შესახებ;

გ) განმცხადებლის (მშობლის, მეურვის) საბანკო ანგარიში;

დ) დაბადების მოწმობა, ორივე მშობლის პირადობის მოწმობის ასლი, ან არასრულწლოვანის რეგისტრაციის ბარათი;

ე) სასამართლო გადაწყვეტილება მეურვის არსებობის შემთხვევაში.

მუხლი 6. დაფინანსების წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და თანდართული დოკუმენტაციის პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

2. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურესად გაჭირვებული და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახებისაკვები პროდუქტებით მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 29250156)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურესად გაჭირვებული და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების საკვები პროდუქტებით მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 15 იანვარი 2025 წელი – 31 დეკემბერი 2025 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 100 000 (ასი ათასი) ლარი. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახებისათვის.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურესად გაჭირვებული და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების საკვები პროდუქტებით მხარდაჭერა

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახები.

მუხლი 4. საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი:

ამ პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ განცხადებას, განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში გარდაცვალების მოწმობის ასლი;

დ) შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის წერილობითი რეკომენდაცია, რომელიმეს მიერ ამ უფლებამოსილების განუხორციელებლობის შემთხვევაში, რომელიც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით, საკმარისია ერთ-ერთის რეკომენდაცია.

მუხლი 5. საკვები პროდუქტების გაცემის წესი და ოდენობა:

1. ამ პროგრამით განსაზღვრულ ოჯახებს საკვები პროდუქტები მიეცემათ შემდეგი ოდენობით:

ა) უკიდურესად გაჭირვებულ და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფ ოჯახებს არაუმეტეს 150 ლარის ოდენობით ერთჯერადად, ხოლო სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციის საფუძველზე შესაძლებელია გაიცეს არაუმეტეს წელიწადში ორჯერ.

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს, რეკომენდაციის მომზადების მიზნით მერის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი.

3. რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელია ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური, რომელიც გაცემს შესაბამისი ოდენობის ტალონს და ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

4. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ახალშობილთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 29250157)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ახალშობილთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 15 იანვარი 2025 წელი – 31 დეკემბერი 2025 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 55 000 (ორმოცდათხუთმეტი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ახალშობილთა ოჯახების მატერიალური დახმარების გაწევა.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორიაა ახალშობილთა ოჯახები (მშობლები), რომლებიც აკმაყოფილებენ ამ მუხლის მოთხოვნებს და განცხადების წარმოდგენის დროისათვის კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულნი არიან თერჯოლის მუნიციპალიტეტში, კერძოდ:

ა) ბავშვის მშობლები, რომლებიც განცხადების დაწერის დროისათვის რეგისტრირებულნი არიან თერჯოლის მუნიციპალიტეტში;

ბ) მარტოხელა მშობელი (დედა ან მამა), რომელიც განცხადების დაწერის დროისათვის რეგისტრირებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტში.

მუხლი 4. მუნიციპალიტეტში წარსადგენი დოკუმენტაცია, დახმარების ოდენობა:

1. ამ პროგრამით განსაზღვრულ ოჯახებს ფინანსური დახმარება მიეცემათ თითოეულ ახალშობილზე ერთჯერადად, შემდეგი ოდენობით:

ა) პირველ ახალშობილზე 250 (ორასორმოცდაათი) ლარი;

ბ) მეორე ახალშობილზე 300 (სამასი) ლარი;

გ) მესამე, მეოთხე 400 (ოთხასი) ლარი;

დ) მეხუთე და ა.შ. ახალშობილზე 500 (ხუთასი) ლარი.

ე) ტყუპების შემთხვევაში 1000 (ათასი) ლარი.

2. ახალშობილთა ოჯახებზე ფინანსური დახმარება გაიცემა განცხადების საფუძველზე, რომელსაც ერთ–ერთი მშობელი წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერიას ბავშვის დაბადებიდან არაუგვიანეს ერთი წლის ვადაში.

3. განცხადებას თან უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) ბავშვის (ბავშვების) დაბადების მოწმობის ასლი;

ბ) მშობლების პირადობის მოწმობის ასლები;

გ) განმცხადებლის საბანკო ანგარიშის ნომერი.

მუხლი 5. ახალშობილთა ოჯახებზე ფინანსური დახმარების გაცემის წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და თანდართული დოკუმენტაციის პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ ამზადებს მერიის ბრძანების პროექტს.

2. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების 2025 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 29250158)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების 2025 წლის პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 15 იანვარი 2025 წელი – 31 დეკემბერი 2025 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 320 000 (სამას ოცი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი და შედეგი:

პროგრამის მიზანია დაეხმაროს და ხელი შეუწყოს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფას.

მუხლი 3. სამედიცინო მომსახურების დასახელება:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეებისათვის სამედიცინო მომსახურების საჭიროების შემთხვევაში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდება:

ა) საყოველთაო ჯანდაცვის ან კერძო დაზღვევის ფარგლებში განხორციელებული მომსახურება: ოპერაცია, გამოკვლევა;

ბ) საყოველთაო პროგრამით ან კერძო დაზღვევით დაუფინანსებელი ოპერაცია;

გ) ონკოლოგიურ ავადმყოფთა სამედიცინო მომსახურება;

2. არ დაფინანსდება:

ა) ესთეტიკური მიზნით ოპერაციები;

ბ) საკეისრო კვეთა;

გ) მკურნალობა.

მუხლი 4. სამედიცინო მომსახურების დაფინანსების ოდენობა:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების მოცულობა განისაზღვრება პაციენტის ასანაზღაურებელი თანხიდან:

ა)1000 ლარამდე თანხის ფარგლებში ასანაზღაურებელი თანხის 50% ით;

ბ)1000 ლარიდან 3000 ლარის ჩათვლით 500 ლარით;

გ) 3000 ლარიდან 5000 მდე 800 ლარით;

დ) 5000 ლარის ზემოთ 1000 ლარით.

2. მოქალაქეების მეორედ მომართვის შემთხვევაში, რომელთა მატერიალური შემოსავალი ფიქსირდება 10 000 ლარი და მეტი დახმარება არ გაეწევათ.

3. მეორედ მომართვიანობის შემთხვევაში ფიზიკური პირის შემოსავლების შესახებ ცნობის გამოთხოვას შემოსავლების სამსახურიდან (ბოლო ერთი წლის განმავლობაში) უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 5. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია

პროგრამით სარგებლობის უფლება აქვს თერჯოლის

☞ 7

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის სოციალური პროგრამები

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების 2025 წლის პროგრამა

6 ☞

მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირს.

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის მერიაში წარსადგენი დოკუმენტაცია

პროგრამით სარგებლობის მსურველი პირი, ხოლო არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში მისი მშობელი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენს განცხადებას, რომელსაც თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ხოლო არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში ორივე მშობლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, არასრულწლოვნის რეგისტრაციის ბარათი და დაბადების მოწმობის ასლი;

ბ) ცნობა, პროგრამით სარგებლობის მსურველი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა N100);

გ) გასაწევი სამედიცინო მომსახურების ხარჯების მოცულობის განმსაზღვრელი დოკუმენტი (ინვოისი, კალკულაცია,) შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან, დაუფინანსებელი თანხის მოცულობის ჩვენებით;

დ) შეთანხმება სამედიცინო დაწესებულებასა და პაციენტის წარმომადგენელს შორის (დავალიანების არსებობის შემთხვევაში);

ე) შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის წერილობითი რეკომენდაცია, რომელიმეს მიერ ამ უფლებამოსილების განუხორციელებლობის შემთხვევაში, რომელიც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით, საკმარისია ერთ-ერთის რეკომენდაცია;

ვ) კერძო დაზღვევის შემთხვევაში მოქალაქემ უნდა წარმოადგინოს ცნობა საყოველთაო დაზღვევიდან თანხმობის ან უარის შესახებ;

ზ) მეორედ მომართვიანობის შემთხვევაში ფიზიკური პირის შემოსავლების შესახებ ცნობა შემოსავლების სამსახურიდან (ბოლო ერთი წლის განმავლობაში);

თ) მინდობით აღზრდის შემთხვევაში მინდობი პირის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 7. სამედიცინო მომსახურების დაფინანსების წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და ამზადებს თანადაფინანსების შესახებ წერილის პროექტს.

2. სამედიცინო მომსახურეობის ღირებულების თანხიდან დაფინანსებული იქნება თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მას შემდეგ, რაც წარმოდგენილი იქნება შესრულებული სამუშაოს ღირებულების სრული ნუსხა, რომლის საფუძველზეც გამოიცემა მერის ბრძანება.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ბენეფიციარების სოციალური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 2925015001)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები:

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ბენეფიციარების სოციალური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 15 იანვარი 2025 წელი – 31 დეკემბერი 2025 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 2 000 (ორი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა: თვეში – 70 ლარი.

6. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები:

ერთჯერადი კვების ობიექტის ფუნქციონირების შეწყვეტის შედეგად აღრიცხვაზე მყოფი ბენეფიციარებისათვის ფინანსური მხარდაჭერა.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირები, რომლებიც სარგებლობდნენ ერთჯერადი კვების ობიექტით.

მუხლი 4. დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი:

ამ პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ განცხადებას, განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) განმცხადებლის ანგარიშის ნომერი ბანკიდან.

მუხლი 5. მომსახურების დაფინანსების ოდენობა და დაფინანსების წესი:

1. მერის შესაბამისი გადაწყვეტილების შესრულებაზე პასუხისმგებელია ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური, რომელიც ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

2. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 29250159)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2025 წლის პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 15 იანვარი 2025 წელი – 31 დეკემბერი 2025 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 152 000 (**ასორმოცდათორმეტი** ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მძიმე სოციალურ პირობებში მყოფ ოჯახებს.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახები:

ა) იძულებით გადაადგილებულ მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახები;

ბ) ობოლ ბავშვთა ოჯახები (18 წლამდე);

გ) სამ და მეტ შვილიანი ოჯახები (სოციალურად დაუცველი ოჯახები რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000);

დ) იშვიათი და ონკოლოგიურ დაავადების მქონე პირთა ოჯახები;

ე) გადაადგილება შეზღუდული შშმ პირთა ოჯახები;

ვ) ვეტერანთა ოჯახები;

ზ) მარტოხელა პირები;

თ) ოჯახში ძალადობის მსხვერპლი (რომელთა შემოსავალი ბოლო ერთი წლის განმავლობაში არ აღემატება 10 000 ლარს);

ი) სოციალურად დაუცველი ოჯახები (რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000)

კ) ქრონიკულ დაავადებათა მქონე პირები;

ლ) დაუნის სინდრომით და აუტიზმით დაავადებული ბენეფიციარები.

მუხლი 4. ერთჯერადი ფინანსური დახმარების ოდენობა:

1) თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებულ, მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების, მარტოხელა პირების, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება 100 ლარის ოდენობით წელიწადში ერთჯერადად.

2) ობოლ ბავშვთა ოჯახების (18 წლამდე), შშმ პირთა ოჯახების, ვეტერანთა ოჯახების დახმარება 150 ლარის ოდენობით, ერთჯერადად.

3) ქრონიკულ დაავადებათა მქონე პირები დაავადების სიმძიმის მიხედვით 100/150 ლარი, სამი და მეტ შვილიანი ოჯახები (სოციალურად დაუცველი) და სოციალურად დაუცველი ოჯახების (რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000) დახმარება 150 ლარით, წელიწადში ერთჯერადად.

4) დაუნის სინდრომის, აუტიზმის, იშვიათი დაავადების მქონე და ონკოლოგიურ ბენეფიციართა ოჯახები 250 ლარის ოდენობით, წელიწადში ერთჯერადად.

მუხლი 5. მუნიციპალიტეტში წარსადგენი დოკუმენტაცია:

პროგრამით სარგებლობის მსურველი პირი, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენს განცხადებას, რომელსაც თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ავადმყოფობის შემთხვევაში ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №100/ა) გაცემული შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან;

გ) შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის წერილობითი რეკომენდაცია, რომელიმეს მიერ ამ უფლებამოსილების განუხორციელებლობის შემთხვევაში საკმარისია ერთ-ერთის რეკომენდაცია.

დ) განმცხადებლის ანგარიშის ნომერი ბანკიდან.

ე) შემაკავებელი ან დამცავი ორდერი ან/და მომხდარი ფაქტის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი (ოჯახში ძალადობის მსხვერპლის შემთხვევაში).

ვ) სოციალურად დაუცველთა შემთხვევაში ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიანი ბაზიდან.

მუხლი 6. ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემის წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას, რეკომენდაციის მომზადების მიზნით, განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი.

2. სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციაზე პასუხისმგებელია ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური, რომელიც ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

3. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის სოციალური პროგრამები

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული ოჯახების 2025 წლის დახმარების პროგრამა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 იანვრის სხდომაზე (განკარგულება გ-29. 292501510)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები.

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული ოჯახების დახმარების 2025 წლის პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 2024 წლის 15 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრამდე.

3. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი: 450 000 (**ოთხასორმოცდაათი** ათასი ლარი) ლარი. აქედან:

ა) საცხოვრებელი სახლები, რომლებიც საჭიროებს გადაუდებელ შეკეთებას, დაზიანდა ხანძრის ან სტიქიის შედეგად, დახმარების ბიუჯეტი განისაზღვროს 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარით.

ბ) მცირეფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობის ან/და შეძენის ბიუჯეტი განისაზღვროს 400 000 (ოთხასი ათასი) ლარით.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია დაეხმაროს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და მცხოვრებ ოჯახებს, რომელთა საცხოვრებელი სახლები საჭიროებენ გადაუდებელ შეკეთებას, დაზიანდა ხანძრის, სტიქიის შედეგად და გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე ექვემდებარება განსახლებას ან/და საცხოვრებელი ადგილი წარმოადგენს სტიქიურად საშიშ ზონას. პროგრამა ასევე ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის მცირე ფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობას ან/და შეძენას, რომელთა საცხოვრებელი სახლები დაზიანების მასშტაბის გამო ექვემდებარება დემონტაჟს.

მუხლი 3. პროგრამის მოსალოდნელი შედეგი: პროგრამის სრულყოფილად განხორციელება ხელს შეუწყობს თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სახლდაზიანებული ოჯახების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

მუხლი 3. პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:

პროგრამის სრულყოფილად განხორციელება ხელს შეუწყობს თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სახლდაზიანებული ოჯახების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე მოქალაქეთა კატეგორია:

1. პროგრამის პირველი მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის სარგებლობის უფლება აქვთ თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და მცხოვრებ ყველაზე მძიმე ეკონომიკურ პირობებში მცხოვრებ სოციალურად გაჭირვებულ ოჯახებს, რომელთა საცხოვრებელი სახლი საჭიროებს გადაუდებელ შეკეთებას ან/და დაზიანებულია სტიქიის და ხანძრის შედეგად.

1.1.ოჯახებს რომელთა სახლებიც სტიქიის შედეგად არის დაზიანებული ან/და საცხოვრებელი ადგილი წარმოადგენს სტიქიურად საშიშ ზონას (საფრთხის შემცველია საცხოვრებელ სახლში დარჩენა)აქვთ გეოლოგიური დასკვნა ან/და ფორს მაჟორულ სიტუაციაში სივრცითი მოწყობის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული წერილობითი სარეკომენდაციო დასკვნა, შეუძლიათ ისარგებლონ ბინის ქირით 6(ექვსი) თვის ვადით.ხოლო საჭიროების შემთხვევაში 1(ერთი) წლის ვადით.

2. პროგრამის პირველი მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის სარგებლობის უფლება აქვთ, ყველაზე მძიმე ეკონომიურ პირობებში თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ოჯახებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000-ს , მათი საცხოვრებელი სახლი დაზიანების ხარისხის მიხედვით საცხოვრებლად უვარგისია და ექვემდებარება დემონტაჟს.

3. ოჯახებს რომელმაც უნდა ისარგებლოს პროგრამით არ უნდა გააჩნდეს სხვა საცხოვრებელი ფართი.

4. პროგრამით მოსარგებლე მოქალაქე (ოჯახი) დახმარებას მიიღებს ერთჯერადად.

მუხლი 5. პროგრამით მოსარგებლე ოჯახებისათვის გასაცემი ფინანსური დახმარების ოდენობა და მისი გაცემის პირობები:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის და საკრებულოს წევრის წერილობითი რეკომენდაცია;

გ) საცხოვრებელი სახლის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი,ხოლო ასეთის არ არსებობის შემთხვევაში,მერის წამომადგენლის მიერ გაცემული ცნობა, უძრავი ქონების (დაზიანებული საცხოვრებელი სახლი) ფლობის და მასში ცხოვრების შესახებ.

დ) სხვა საცხოვრებელი სახლის არქონის დამადასტურებელი დოკუმენტი. (ცნობა საჯარო რეესტრიდან ქონებრივი მდგომარეობის შესახებ) საქართველოს მაშტაბით.

ე) ფინანსური დახმარების შემთხვევაში ანგარიშის ნომერი ბანკიდან.

ვ) ბინის ქირით სარგებლობის შემთხვევაში გეოლოგიური დასკვნა ან/და ფორს-მაჟორულ სიტუაციაში სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული წერილობითი სარეკომენდაციო დასკვნა, ასევე ქირავნობის ხელშეკრულება 6(ექვსი) თვემდე,ხოლო საჭიროების შემთხვევაში 1(ერთი) წლის ვადით. გამქირავებლის პირადობის მოწმობის და თერჯოლის მუნიციტალიტეტის ტრიტორიაზე არსებული გასაქირავებელი ქონების საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი(ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.)

2. სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის მცირე ფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობის ან/და საცხოვრებელი სახლის შეძენის შემთხვევაში განცხადებას თან უნდა ერთვოდეს შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნა საცხოვრებლად უვარგისი სახლის დემონტაჟის შესახებ და სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

3. ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში მითითებულ განცხადებას შეისწავლის თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი კომისია, რომელიც ამოწმებს მოქალაქის საცხოვრებელი სახლის მდგომარეობას, მოქალაქის ოჯახის სოციალურ პირობებს და ადგენს შესაბამის დასკვნას მოქალაქის განცხადების დაკმაყოფილების (რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს მოქალაქისათვის გასაწევი ფინანსური დახმარების ოდენობა) ან მოქალაქის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

4. კომისიის დასკვნა შემდგომი რეაგირების მიზნით გადაეცემა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურს, რომელიც კომისიის დასკვნის საფუძველზე ამზადებს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტს მოქალაქისათვის ფინანსური დახმარების გაცემის შესახებ ან მოქალაქის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

5. ოჯახებს, რომელთა საცხოვრებელი სახლები მძიმე დაზიანების გამო საჭიროებს გადაუდებელ შეკეთებას პროგრამის ფარგლებში მიეცემათ არაუმეტეს 2500 ლარის ოდენობის ფინანსური დახმარება წელიწადში ერთჯერადად.

6. სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის საცხოვრებელი სახლის შეძენა ან/და მცირე-ფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობა შესაძლებელია მუნიციპალიტეტის მერიამ კანონით დადგენილი წესით განახორციელოს 50000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ფარგლებში.

7. ხანძრის ან სხვა სტიქიური მოვლენის შემთხვევაში კომისიის დასკვნის საფუძველზე, რომელიც შეაფასებს სტიქიური მოვლენის შედეგად მიღებულ ზარალს, პროგრამით მოსარგებლე ოჯახებს პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია მიეცეს არაუმეტეს 7 000 (შვიდი ათასი) ლარის ოდენობის ფინანსური დახმარება. ხოლო ბინის ქირის შემთხვევაში სოფელში თვეში არაუმეტეს 300 (სამასი) ლარი დ ქალაქში არაუმეტეს 400 (ოთხასი) ლარის ფინანსური დახმარება.

8. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნელყოფს მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

სპექტაკლი „ჰელადოსი“ თერჯოლელებისათვის

მერიის დაკვეთით, თერჯოლაში ინტეგრირებული თეატრის სპექტაკლი გაიმართა.

თეატრმა, სახელწოდებით „აზდაკის ბაღი“ კულტურის სახლის სცენაზე ნოდარ დუმბაძის „ჰელადოსი“ გააცოცხლა, ივანე (ბაჩო) გაბრუაშვილის რეჟისურით. წარმოდგენაში მონაწილეობდნენ თეატრალური დასის 20 შშმ პირი, ასევე თავისუფალი თეატრის და რუსთაველის თეატრის პროფესიონალი მსახიობები.

სპექტაკლს, მუნიციპალიტეტის სკოლების მოსწავლეებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი, მანუჩარ რობაქიძეც დაესწრო.

მადლობა გულისხმიერებისა და გადარჩენისათვის

2024 წლის 4 დეკემბერს მეუღლემ მიიღო ბარძაყის ძვლის მოტეხილობა, რის შედეგადაც მოვხვდით თერჯოლის საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში. ოპერაცია კარგად გაკეთდა.

მადლობა ქირურგ ექიმებს, მედპერსონალს გულთბილი მომსახურებისათვის, ვუსურვებ ყველას ჯანმრთელობას, ბედნიერებას, წარმატებას პირად და სამსახურებრივ საქმიანობაში.

ვულოცავ „თერჯოლამედის“ ქირურგიულ განყოფილებას და სხვა ექიმებს ახალ წელს, მშვიდობას, სიკეთეს, ხანგრძლივ სიცოცხლეს ვუსურვებ.

მარინა-ეთერი კივილაძე,
ამბროლაური, სოფ. იწა

თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ლელა ამირანაშვილს მამიდის

ანიკო თორთლაძე-ყაზაიშვილის

გარდაცვალების გამო.

თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ნათია ქუთათელაძეს მამის

შატული ქუთათელაძის

გარდაცვალების გამო.

თერჯოლის №3 საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ნინო და ნონა ქოჩიაშვილებს დეიდის

მედიკო კუპატაძის

გარდაცვალების გამო.

თერჯოლის №3 საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ფიქრია და რეზო დოლაკიძეებს ბებიის

ნანი მეცხვარიშვილის

გარდაცვალების გამო.

შპს „თერჯოლა“

გამომცემელი
ვალერიან გოგიაშვილი
599 92 49 75

მთავარი რედაქტორი
დავით კლდიაშვილი
599 91 24 14

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:

ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: **gazetiterjola@gmail.com**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2

დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872